შრომითი ხელშეკრულება № 26

05 სექტემბერი 2017 წ. ქ. ქუთაისი

ჩვენ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის უნივერსიტეტი“ (ქვემოთ მოიხსენება, როგორც „დამსაქმებელი“), მისი დირექტორის ნინო ხაზარაძის სახით, ერთის მხრივ და გურამ უფლისაშვილი, საქართველოს მოქალაქე (პირადი ნომერი 60001088837) მცხოვრები ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის 2/17, ქვემოთ მოიხსენება, როგორც „დასაქმებული“), მეორეს მხრივ, ვმოქმედებთ რა საქართველოს შრომის კოდექსის, დამსაქმებლის წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად, ვდებთ ამ შრომით ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. „დასაქმებული“ იმუშავებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის უნივერსიტეტის“ აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო საგნების გადასახადები, დაბეგვრის საფუძვლები, საბანკო მენეჯმენტი, სადაზღვევო მენეჯმენტი, შიდა აუდიტი ლექტორის აკადემიურ თანამდებობაზე.

2. დამსაქმებელი აანაზღაურებს დასაქმებულის შრომას ფულით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ვადებში.

2. სამუშაო და დასვენების დრო, შვებულება

1. „დასაქმებულის“ სამუშაო კვირა 5 დღიანია. სამუშაო დღე იწყება 09:00 საათზე და მთავრდება 18:00 საათზე.

2. ყოველდღიური შესვენების ხანგრძლივობაა 1 საათი. ყოველდღიური შესვენება იწყება 13:00 საათზე და მთავრდება 14:00 საათზე.

3. სამუშაო საათები შეიძლება შეიცვალოს დამსაქმებლის რექტორის ბრძანებით ან/და შინაგანაწესის საფუძველზე.

4. შაბათი და კვირა დასვენების დღეებია. თუ, დამსაქმებლის ინტერესების შესაბამისად, დასაქმებული იმუშავებს შაბათს ან კვირას, მომდევნო კვირაში მას მიეცემა დასვენების სხვა დღე. დასაქმებული არ იმუშავებს საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ უქმე დღეებში.

5. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დამსაქმებელს მიეცემა შვებულებები საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს დასაქმებული სამუშაოსათვის სათანადო პირობებით და იმ ინვენტარით, რაც ესაჭიროება მას დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად,

ბ) უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოთი,

გ) დასაქმებულის საქმიანობა შეაფასოს სამართლიანად და ობიექტურად,

დ) აუნაზღაუროს დასაქმებულს მისი მოვალეობების შესრულებაზე გაწეული შრომა ამ ხელშეკრულებითა განსაზღვრული ოდენობითა და წესით,

ე) აუნაზღაუროს დასაქმებულს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმებით.

2. დამსაქმებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს ნაკისრი ვალდებულებების პირადად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება,

ბ) მოითხოვოს დასაქმებულისაგან მისი მოვალეობების შესრულება დასვენებისა და უქმე დღეებში, აგრეთვე - არასამუშაო საათებში სამუშაო დღეებში (ზეგანაკვეთურ სამუშაოთა შესრულება), თუ ეს აუცილებელია დამსაქმებლის ინტერესებიდან გამომდინარე,

გ) გამოქვითოს დასაქმებულისათვის მისაცემი თანხებიდან დასაქმებულის ბრალით დამსაქმებლისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად საჭირო თანხები იმ პირობით, რომ ერთჯერადი დაქვითვის საერთო ოდენობა არ აღემატებოდეს გასაცემი შრომის ანაზღაურების ნახევარს. დასაქმებულის ბრალით დამსაქმებლისათვის მიყენებული ზიანის ზომა და ზიანის იმ ნაწილის ანაზღაურების ვადა და პირობები, რომელიც არ იფარება შრომის ანაზღაურებიდან ამ პუნქტით განსაზღვრული გამოქვითვით, დგინდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლოს მიერ.

3. დასაქმებულის მოვალეობაა ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სასწავლო საგნის სწავლების მიზნით, დამსაქმებლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მიერ დამტკიცებული ცხრილების მიხედვით და სასწავლო საგნის სილაბუსის შესაბამისად:

ა) ჩაატაროს ლექციები/სემინარები;

ბ) უხელმძღვანელოს სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკას;

გ) უხელმძღვანელოს სტუდენტთა მიერ საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების შესრულებას;

დ) შეაფასოს სტუდენტთა სწავლის შედეგები უშუალოდ და მონაწილეობა მიიღოს სწავლის შედეგების შემფასებელი კომისიების მუშაობაში.

4. დასაქმებული ვადებულია:

ა) დამსაქმებლის შინაგანაწესისა და მისგან გამომდინარე დებულებების/ინსტრუქციების შესაბამისად, სისტემატური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი დეპარტამენტისა და შესაბამისი პროგრამის კომიტეტის საქმიანობაში;

ბ) თუ არჩეულ იქნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს ან უნივესიტეტის აკადემიური საბჭოს წევრად, მონაწილეობა მიიღოს ამ ორგანოთა საქმიანობაში;

გ) შეასრულოს დამსაქმებლის რექტორის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, ფაკულტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და პროგრამის კომიტეტის თავმჯდომარის ზეპირი და წერილობითი მითითებები, თუ ისინი შეეხება მის ამ შრომითი ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოვალეობათა შესრულებას, მათ შორის სასწავლო საგნის სილაბუსის მოდიფიკაციას, არ ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის ნორმებსა და ამ შრომითი ხელშეკრულების პირობებს;

დ) ყოველი სასწავლო სემეტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წარუდგინოს სემეტრის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში დამსაქმებლის სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახურს;

ე) ამ ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულებისას დაიცვას საქართველოს შრომის კოდექსის, დამსაქმებლის შინაგანაწესის, შრომისა და სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების დადგენილი ნორმები;

ვ) ნაკისრ მოვალეობათა შესრულებისას მაქსიმალურად გამოავლინოს დამოუკიდებლობა და დაიცვას დამსაქმებლის პრესტიჟი;

ზ) აუნაზღაუროს დამსაქმებელს მატერიალური ზიანი, თუ იგი დასაქმებულის ბრალითაა გამოწვეული.

4. შრომის ანაზღაურება

1. დასაქმებულის შრომა ანაზღაურდება დამსაქმებლის მიერ ყოველთვიურად, ხელფასის სახით.

2. დასაქმებულის ყოველთვიურ ხელფასი შეადგენს 262.50 ლარს. ეს თანხა მოიცავს საშემოსავლო გადასახადსაც, რომელსაც დასაქმებულს უკავებს და ბიუჯეტში იხდის დამსაქმებელი.

3. ხელფასი გაიცემა დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის პირად საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

4. დამსაქმებელი დასაქმებულს გადაუხდის ხელფასს ყოველთვიურად, არაუადრეს საანგარიშსწორებო თვის ბოლო კვირის პირველი სამუშაო დღის და არაუგვიანეს საანგარიშსწორებოს მომდევნო თვის პირველი სამუშაო დღისა.

5. თუ დასაქმებული დამსაქმებლის მითითებით შეასრულებს ზეგანაკვეთურ სამუშაოს უქმე დღეებში ან სამუშაო დღეებში ისე, რომ კვირის განმავლობაში სამუშაო საათების რაოდენობა გადააჭარბებს ორმოცს და ეს არაა დაკავშირებული სტიქიური უბედურების თავიდან აცილებასთან ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციასთან, დამსაქმებელი აანაზღაურებს ზეგანაკვეთურ სამუშაოებს საათზე 15 ლარის ოდენობით (ეს თანხა მოიცავს საშემოსავლო გადასახადსაც). ზეგანაკვეთური სამუშაოების ანაზღაურებას დამსაქმებელი გადაიხდის ხელფასთან ერთად.

6. დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის შრომის ანაზღაურების დაგვიანების შემთხვევაში დამსაქმებელი დამატებით გადაუხდის დასაქმებულს დროულად მიუცემელი თანხის 0.07 პროცენტს ანაზღაურების დაგვიანების ყოველ დღეზე.

5. შრომითი ურთიერთობის დროებით შეჩერება

1. დამსაქმებელი უფლებამოსილია, დროებით შეაჩეროს შრომითი ურთიერთობი დასაქმებულთან რომელიმე შემდეგი საფუძვლით:

ა) გაფიცვა;

ბ) ლოკაუტი;

გ) დასაქმებულის მიერ აქტიური ან/და პასიური საარჩევნო უფლების განხორციელება სხვა დასახლებულ პუნქტში;

დ) დასაქმებულის საგამოძიებო, პროკურატურის ან სასამართლო ორგანოებში გამოცხადება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის სასამართლო პროცესში ნაფიც მსაჯულად მონაწილეობა;

ე) დასაქმებულის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა;

ვ) დასაქმებულის სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევა;

ზ) დასაქმებულის მოთავსება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან/და კრიზისულ ცენტრში, რა დროსაც შეუძლებელი ხდება მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულება ვადით, არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა წელიწადში;

თ) დასაქმებულის დროებითი შრომისუუნარობა (თანამშრომლის დაავადებით ან დასახიჩრებით გამოწვეული შრომის უნარის დაკარგვა, თანამშრომლის მიერ მისი ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლა, კარანტინი, თანამშრომლის პროთეზირება), თუ მისი ვადა არ აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა არ აღემატება 60 კალენდარულ დღეს;

ი) დასაქმებულის კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული გადამზადება ან სწავლა, რომლის ხანგრძლივობაც წელიწადში არ აღემატება 30 კალენდარულ დღეს;

კ) შვებულება;

ლ) თანამშრომლის დაკავება/წინასწარ პატიმრობაში ყოფნა.

2. დამსაქმებლის დირექტორი ვალდებულია, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობების დროებითი შეჩერების თაობაზე (გარდა დამსაქმებლის მიერ ლოკაუტის გამოცხადებისა) გამოსცეს ბრძანება, რომელშიც მიეთითება შრომითი ურთიერთობების დროებით შეჩერების საფუძველი და ვადა.

3. შრომითი ურთიერთობების დროებით შეჩერების პერიოდში, თუ ამის მიზეზი არაა სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევა, დასაქმებულს შრომის ანაზღაურება არ მიეცემა.

6. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ამ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

ა) ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას;

ბ) დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება;

გ) მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

დ) დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან, რაც დადგენილია ამ შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით;

ე) დასაქმებულის მიერ მისთვის შრომითი ხელშეკრულებით ან შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა;

ვ) დასაქმებულის მიერ მისთვის შრომითი ხელშეკრულებით ან შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ დასაქმებულის მიმართ ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში უკვე გამოყენებულ იქნა ამ შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა;

ზ) დასაქმებულის ხანგრძლივი შრომისუუნარობა – თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში შრომისუუნარობის საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს;

თ) ისეთი სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;

ი) სასამართლოს მიერ უკანონოდ ცნობილ გაფიცვაში დასაქმებულის მონაწილეობა;

კ) დასაქმებულის გარდაცვალება;

ლ) დამსაქმებლის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება;

მ) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

2. შრომითი ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება დამსაქმებლის დირექტორის მიერ შესაბამისი ბრძანების გამოცემის დღიდან. ბრძანებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. ამის გარეშე გამოცემული ბრძანება ბათილია.

7. შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა შორის საბოლოო ანგარიშსწორების დასრულებამდე.

8. შინაგანაწესი

1. დამსაქმებლის შინაგანაწესი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების შემადენელ ნაწილს.

2. შრომითი ურთიერთობების საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება დამსაქმებლის შინაგანაწესით.

3. შინაგანაწესის დებულებები ძალაშია, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

4. შინაგანაწესი მუდმივადაა გამოქვეყნებული დამსაქმებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.unik.edu.ge). ცვლილება შინაგანაწესში ქვეყნდება მისი შეტანის მომდევნო სამუშაო დღეს.

5. საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ვალდებულია, გააცნოს დასაქმებულს საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილება შინაგანაწესში ცვლილებათა შეტანაზე არაუგვიანეს მე-5 სამუშაო დღისა ამ გადაწყვეტილების მიღებიდან. დასაქმებული ვალდებულია, გადაწყვეტილებაზე თავისი ხელმოწერით დაადასტუროს, რომ გაეცნო მის შინაარსს.

9. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობებთან დაკავშირებული დავის წარმოშობის, განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურები რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსით.

10. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე შრომითი ხელშეკრულება იურიდიულ ძალას იძენს მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს, რომ იცნობს დამსაქმებლის შინაგანაწესს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღისათვის არსებული შინაარსით.

2. ყველა ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში ძალაში შედის მხარეთა მიერ შესაბამისი დოკუმენტის ხელმოწერისთანავე.

3. ამ ხელშეკრულების ამა თუ იმ დებულების ცვლილება ან გაუქმება არ იწვევს სხვა დებულებების გაუქმებას.

4. ურთიერთობები, რომლებიც არ არის განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით, წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობის ნორმებით.

5. ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ პირად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან, ხოლო მეორე – დასაქმებულთან. ორივე პირს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

11. მხარეთა ხელმოწერები:

დამსაქმებელი	**დასაქმებული**
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის უნივერსიტეტი“	გურამ უფლისაშვილი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 212677094	პირადი № 60001088837
მისამართი: ქუთაისი, წერეთლის ქ., 13	მისამართი :ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის 2/17
ტელ: (431) 24 23 73, 24 52 97, 24 33 14.	ტელ. 599 25 23 79; 577 055 461
ფაქსი: (431) 24 57 72, 24 11 40.	
ელ.ფოსტა info@unik.edu.ge	
საბანკო ანგარიში # GE22PC0013600100029889	
ს.ს. „პროკრედიტბანკში“	

LLC KUTAISI UNIVERSITY * 212677094 *

დირექტორი: ნინო ხაზარაძე

გურამ უფლისაშვილი: